2026 წლის 20 მარტს ინსტიტუტის მუდმივმოქმედი სემინარის - „საინსტიტუტო საუბრების“ მორიგი სემინარი გაიმართა, რომელზეც არქეოლოგიის დოქტორმა - **ჯიმშერ ჩხვიმიანმა** წარმოადგინა მოხსენება თემაზე: ***„შუა საუკუნეების დმანისი - საქალაქო ცხოვრების ასპექტები.“***

კვლევების შედეგად შესწავლილია შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ურბანული ცენტრის, ქალაქ დმანისის მოსახლეობის სოციალური, ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის ფორმირებისა და ეტაპობრივი ცვალებადობის მიზეზშედეგობრიობა, ამ ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების ფონზე. დმანისის ნაქალაქარი საქალაქო ცხოვრების დეტალების პოტენციურად სრულყოფილი არქეოლოგიური სურათის წარმოსაჩენად, ერთგვარ „ბედნიერ გამონაკლისს“ წარმოადგენს, ვინაიდან მის ტერიტორიას შემდგომში ურბანული რეოკუპაცია აღარ განუცდია.

მოხსენებაში წარმოდგენილი იყო მასალები შუა საუკუნეების დმანისის ბინადარ სხვადასხვა ეთნოსთა და კონფესიათათვის დამახასიათებელი საყოფაცხოვრებო, საკულტო და მემორიალური ძეგლების ხუროთმოძღვრული თავისებურებების შესახებ; ამ ქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ-კონფესიური სურათის ცვლილებათა დინამიკა და მათი განმაპირობებელი ფაქტორები; შუა საუკუნეების ქალაქ დმანისის მოსახლეობის დასაქმების სფეროების, სოციალური და ეთნიკურ-კონფესიური დიფერენციაციის, მათი ყოფა-ცხოვრების თავისებურებები.